ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №39

17 მარტი 2023 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები-გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე,ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, აკაკი ალადაშვილი, ნინო წულაძე.

მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი-ირაკლი თავართქილაძე
ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე- დავით ჯაიანითბილსერვისჯგუფის წარმომადგენელი -გიორგი ინაური

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.. **საკრ.№12-0323074115-03 15/03/23**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. **№11-01230741095 საკრ.№15—032307449-03 15/03/23; №11-01230753289 საკრ.№15—032307591-03 16/03/23**

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება – ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე". **საკრ.№12-03206965-03 10/03/23**

4„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". **საკრ.№12-032305458-03 23/02/23**

5. ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.04.005.003.01.01.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N41 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება. **საკრ.№12-032306617-03 07/03/23**

6. ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ N01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ: 404573323) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-0323074112-03 15/03/23**

7. ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.17.023.001.01.01.033) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის

სინდრომის ასოციაციისთვის" (ს/კ: 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-0323074112-03 15/03/23**

8. „ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანას კარისთვის" (ს/ნ: 400343348) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე". **საკრ.№12-0323074112-03 15/03/23**

9. ქალაქ თბილისში, ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩა N1ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.13.020.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032305452-03 24/02/23**

10. ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N101ბ-ში არსებული 49 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-032305576-03 27/02/23**

11. ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) N29-ში არსებული 23.96 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.037.003.01.004ა) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-032305576-03 27/02/23**

12. ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.02.006.004) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (69/616 ნაწილი) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე**საკრ.№12-032305576-03 27/02/23**

13. ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N74-ში არსებული 43.29 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.105.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-0323074111-03 15/03/23**

14. ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.**საკრ.№12-0323074111-03 15/03/23**

15. ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.078.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. **საკრ.№12-0323074111-03 15/03/23**

16. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 399 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.002.156) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ. **საკრ.№12-0323074111-03 15/03/23**

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს" (ს/ნ: 405385578) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიკე გრუპის" (ს/ნ: 405385578) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032307495-03 15/03/23**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება.
მომხსენებელი-გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლები 1 530,8 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 1 776 457,6 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის, სამგორის რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) ქვეპროგრამის ასიგნება – 100,0 ათასი ლარით, თბილისის საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) პროგრამის ასიგნება - 70,0 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ასიგნება - 500,0 ათასი ლარით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) პროგრამის ასიგნება - 500,0 ათასი ლარით და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 360,8 ათასი ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა, კერძოდ: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 20 ერთეულით, შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4085 ერთეულით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 638 663,4 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით.

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 578 563,4 ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

გადასახადები 872 224,4 ათასი ლარი, მათ შორის:

- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 208 000,0 ათასი ლარი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 26 000,0 ათასი ლარი;
- მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი – 622 224,4 ათასი ლარი.

გრანტები 474 962,8 ათასი ლარი, მათ შორის:

- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 407,8 ათასი ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 555,0 ათასი ლარი;
- კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 440 000,0 ათასი ლარი;
- სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 34 000,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 231 376,2 ათასი ლარი, მათ შორის:

- შემოსავალი საკუთრებიდან – 11 284,8 ათასი ლარი;
  - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 60 000,0 ათასი ლარი;
  - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 65 000,0 ათასი ლარი;
  - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 68 530,8 ათასი ლარი;
  - სანებართვო მოსაკრებელი - 18 095,0 ათასი ლარი;
- სხვადასხვა შემოსავლები – 8 465,6 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 774 926,8 ათასი ლარით.

კომისიის წევრების შეკითხვაზე მომხსენებელმა დააზუსტა, რომ ტრანსპორეტისა და ურბანული განვიტარების სააგენტოში იქმნება ორი სამსახური: სანებართვო ანალიტიკური სამსახური, რომლის ერთერთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილება იქნება სანებართვო საქმიანობასთან და სანებართვო პირობებთან

დაკავშრებულ საკითხებზე ნებართვის მფლობელ პირებთან ურთიერთობის წარმოება და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახური.

მომხრე-7 თავი თეიკავა-ანა გოგოლაძემ, ნინო წულაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

მომხსენებელი- ლევან მიქავა

ლევან მიქავას მოხსენებით, წარმოდგენილია რაიონული გამგეობების და მერიის ინფრასტრუქტურული განვითარების, გარემოს დაცვის, ჯანდცვისა და სოციალური მომსახურების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა,აკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურების მიერ მოთხოვნილი კვარტალური ცვლილებები მათთვის მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში.

მომხსენებელმა დაწვრილებით ისაუბრა ყველა წარმოდგენილი კვარტალური ცვლილების შესახებ. საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 7 045000 ლარით. თანხების გადმოტანა ხდება პირველი კვარტლიდან 864240 ლარის; მესამე კვარტლიდან 5 742 600 ლარის და მეოთხე 438 160 ლარის.რაც ბალანსდება შემოსულობებისა და ნაშთის ცვლილებით.

მეორე დანართით გადასახდელები პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 82759 ლარით, თანხის გადმოტანა ხდება მეორე და მესამე კვარტლიდან.

მომხრე-8 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული განვითარების, გარემოს დაცვის, ჯანდცვისა და სოციალური მომსახურების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა,აკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურები, ასევე რაიონული გამგეობები ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო **კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:**

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება – ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე"

მომხსენებელი - დავით ჯაიანი

დავით ჯაიანის მოხსენებით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება – ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში. კერძოდ: კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებების შესასრულებლად გრანსტის მოცულობა 240 000 ევროდან იზრდება 500 000 ევრომდე. თავდაპირველი ხელშეკრულების პუნქტი

მთლიანად იშლება და იცვლება შემდეგით: „ ფონდის მარეგულირებელი დადგენილებისა და პირობების მიხედვით/, EBRD დათანმხდა გაზარდოს გრანტის მოცულობა 500,000 ევრომდე ფონდის რესურსებიდან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, გარკვეული საკონსულტაციო მოსახურების შესასყიდად".

მომხრე-8 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს: საკრებულოს განკარგულების პროექტი:ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება – ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" საკრებულოს სხდომაზე განსახილევალდ გატანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში და ემატება მუხლი 71, რომლითაც დგინდება სეპარირებული შეგროვების შედეგად მიღებულ ერთგვაროვან ნარჩენებზე აუქციონის გამოცხადების წესი. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს იმას, რომ არ მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების დაგროვება. ამასთან, ზემოაღნიშნული რეგულაციის შემოღება ხელს შეუწყობს ნარჩენების მართვის პროცედურის უფრო ეფექტურად შესრულებას და გაამარტივებს არსებული ნარჩენების მართვაზე მყისიერი რეაგირების განხორციელების შესაძლებლობას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, საკმაოდ პრობლემურია ზემოაღნიშნული სეპარირებული ნარჩენის დაგროვება და შესაბამის საწყობში განთავსება. მითითებული პროცედურა დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შესაბამისი იურიდიული პირის მხრიდან გარკვეული ხარჯების გაღებასა და მუნიციპალური რესურსების გამოყენებასთან. ხოლო წარმოდგენილი ცვლილება მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას აღარ განათავსოს ზემოხსენებული სეპარირებული ნარჩენი მუნიციპალურ საწყობში და მითითებული ცვლილებით განსაზღვრული წესით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული პირი, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით" განსაზღვრულ ოპერატორთან - თბილისის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირთან - ერთად, შეგროვებისთანავე მოახდენს სეპარირებული ნარჩენის გადამუშავებას და შესაბამის ტრანსპორტირებას, რაც მუნიციპალიტეტს გამოუთავისუფლებს შესაბამის რესურსებს.

ასევე, მითითებული ცვლილების საშუალებით გაიზრდება, აუქციონში მონაწილეობის სურვილის მქონე პირთა რიცხვი და დაინტერესება აღნიშნული ნარჩენების შეძენის კუთხით, რაც როგორც უკვე აღინიშნა მუნიციპალიტეტს აარიდებს თავიდან მითითებული ნარჩენების შესაძლო დაგროვებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტში და ნაცვლად არსებული წინა სამუშო დღის 18 საათისა, აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეუძლია გადაიხადოს ბე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ან წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ელექტრონული აუქციონის გამოცხადებიდან (დაწყებიდან) მის დასრულებამდე არაუგვიანეს 30 წუთისა.

აღნიშნული ცვლილების საჭიროება განპირობებულია პრაქტიკაში შექმნილი რიგი გარემოებების გათვალისწინებით.

ამასთან, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და 23-ე მუხლის ამოღებას, რომლითაც რეგულირებულია განვადებით სარგებლობის ინსტიტუტი. მითითებული რეგულაციის ამოღება რელევანტურია დადგენილებიდან, რადგან პრაქტიკაში განვადებით სარგებლობის მექანიზმი არ გამოიყენება.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტი:„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში (საკადასტრო კოდი: 01.11.04.005.003.01.01.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N41 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ხდება ტექნიკური ხარვეზის გასწორება, კერძოდ ხდება საკადასტრო კოდის გასწორება და 2023 წლის 21 თებერვლის საკრებულოს N41 განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.003.01.01.064) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 თებერვლის N23.146.154 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მანაგაძის მე-4 ჩიხი N19-ში მე-16 სართულზე მდებარე 60.61 კვ.მ ფართის ბინა N64-ის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.005.003.01.01.064) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ანა ბეციაშვილისთვის (პ/ნ 01004013884) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხრე-7 თავი შეიკავა - ანა გოგოლაძემ, ნინო წულაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ N01.14.14.005.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ: 404573323) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ" (ს/ნ: 201990079) შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ არსებული 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობა N1-ის (სტადიონის)(საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) სარგებლობის უფლებით გადაცემა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ: 404573323) მოვლა პატრონობის მიზნით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაცია" (ს/ნ: 404573323) 2020 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციის INTERNATIONAL SOCCER FEDERATION-ის წევრია და 2021 წლიდან საქართველოს ფეხბურთის ასოციაციის წევრი. ასოციაცია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობით ოთხი წლის განმავლობაში ახორციელებს მასობრივ საფეხბურთო პროექტს MASTER LEAGUE-ს და ჩემპიონატებს მართავს მთელი ქვეყნის მასშტაბით,

აღსანიშნავია, რომ 3 წლის განმავლობაში დედაქალაქის მასშტაბით ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა გაზრდილია თითქმის 300%-ით. ჩემპიონატში ჩართულია უკვე 74 სამოყვარულო გუნდი და დედაქალაქის მასშტაბით გასამართი მატჩების ოდენობა უკვე 700-ს აღემატება. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც რომ ჩემპიონატით დაინტერესება წლიდან წლამდე მზარდია. ამასთან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია" (ს/ნ: 201990079) 2023 წლიდან გეგმავს საერთაშორისო ამხანაგური ტურნირების მასპინძლობას საქართველოში და აღნიშნული ჩემპიონატების ორგანიზებას ჭირდება საფეხბურთო მოედანი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილია თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X ფეხბურთის ასოციაციისთვის" საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემას, ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით.

მომხრე-8 თავი შეიკავა - ნინო წულაძემ.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.10.17.023.001.01.01.033) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის" (ს/კ: 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 17 ივნისის N№61.01221687 ბრძანების შესაბამისად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციას" (ს/კ: 405185400) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცა ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში არსებული ბინა N32-ის ფართით 93 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 01.10.17.023.001.01.01.032) ასოციაციის განთავსების მიზნით.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირმა „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის" (ს/კ: 405185400) თავმჯდომარემ განცხადებით, დამატებით ითხოვა ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში არსებული ბინა N33-ის ფართით 60 კვ.მ-ის (ს/კ: 01.10.17.023.001.01.01.033) პირდაპირი განკარგვის სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, საქმიანობის გაფართოების მიზნით. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, დამატებითი ფართის გადაცემის შემთხვევაში, მოზარდების განვითარების პროგრამით სარგებლობას შეძლებს თბილისში მცხოვრები დაუნის სინდრომის მქონე 200-მდე ბავშვი. ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში არ არსებობს მსგავსი სერვისი და ზემოაღნიშნული ფართის გადაცემით დედაქალაქი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მათ საქმიანობაში. ამ სერვისის წარმატებით დანერგვის შემთხვევაში, დაუნის სინდრომის მქონე პირები მიაღწევენ თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს: იცხოვრებენ დამოუკიდებლად, ღირსეულად და ტვირთად არ დააწვებიან სახელმწიფოს.

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 მარტის N23.306.359 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N36-ში არსებული 60 კვ.მ ფართის ბინა N33-ი (ს/კ: 01.10.17.023.001.01.01.033) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაეცემა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციას" (ს/ნ: 405185400) . უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვრა 2 (ორი) წლის ვადით.

მომხრე-9
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანას კარისთვის" (ს/ნ: 400343348) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „ანას კარი" (ს/ნ: 400343348) წარმომადგენელი ითხოვს ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით 2024 წლის 20 ოქტომბრამდე ვადით ფლობს ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა N21-ში მდებარე ბინა N8ა-ს ფართით 58.42 კვ.მ და სარდაფს ფართით 16.75 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N01.18.03.007.009.01.008ა).

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს . სააგენტოს წარედგინა აღნიშნული სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად, საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ. აღნიშნული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება შემდეგი რეკომენდაციით: „განთავსდეს მხოლოდ მაგიდები და სკამები შემომსაზღვრელი ქოთნების გარეშე". საიჯარო ქირა განისაზღვრა 4 800 ლარით.

მომხრე-7 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძე, ნინო წულაძემ.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩა N1ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.13.020.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში,ნაძალადევის რაიონში ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩა N1ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.13.020.016) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაცემა 5 პირს (5 ოჯახს), რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. კერძოდ: ვალია თოფურია (პ/ნ 01002008911) დაკავებული ფართი - 47.75 კვ.მ; მზია ბიგანიშვილი (პ/ნ 01019045258) დაკავებული ფართი - 82.75 კვ.მ; ნადია სომხიშვილი (პ/ნ 01019025040) დაკავებული ფართი - 15.56 კვ.მ; ნანა პაპიკიანი (პ/ნ 01019060884) დაკავებული ფართი - 51.80 კვ.მ; ოლღა სუხიაშვილი (პ/ნ 01015015156) დაკავებული ფართი - 24.80 კვ.მ.
წარმოდგენილი პროექტის თანახმად, აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 222.66 კვ.მ ფართი
შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ვალია თოფურია - 2003 წლიდან, მზია ბიგანიშვილი - 1991 წლიდან, ნადია სომხიშვილი და ოლღა სუხიაშვილი - 1998 წლიდან, ნანა პაპიკიანი - 2004 წლიდან ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე;

მომხრე-8 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N101ბ-ში არსებული 49 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N101ბ-ში არსებული 49 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ი (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადეცემა მოქალაქე გიორგი ვასაძეს (პ/ნ: 01011035595)
შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე გიორგი ვასაძე დაახლოებით 10 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობებით დასტურდება, რომ მოქალაქე 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-8 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) N29-ში არსებული 23.96 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.11.037.003.01.004ა) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) N29, სართული 1, ბინა N4ა-ში არსებული 23.96 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.11.037.003.01.004ა) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,სიმბოლურ ფასად 1 ლარად, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ირმა კიკილაშვილს (პ/ნ: 40001018442).
შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ირმა კიკილაშვილი ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ხოლო მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით 2010 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.
მომხრე-8 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.02.006.004) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (69/616 ნაწილი) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობამ წერილებით იშუამდგომლა ქალაქ თბილისში, ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N9-ში მდებარე N01.15.02.006.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში არსებული 69/616 ნაწილის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე მაია ქსოვრელის (პ/ნ: 01030017347) საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. მოქალაქე მაია ქსოვრელი (პ/ნ: 01030017347) ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.
შსს-ს ცნობით მოქალაქე დაახლოებით 9 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ მ მაია ქსოვრელი 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.
მომხრე-8 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N74-ში არსებული 43.29 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.105.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N74-ში პირველ სართულზე ბინა N3-ში არსებული 43.29 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.105.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე სალომე გელაშვილს (პ/ნ: 11001030913) , რომელიც შსს-ს ცნობით 2004 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით მოქალაქე სალომე გელაშვილი ოჯახთან ერთად 2004 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-8 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.015) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.13.001.015) მდებარე უძრავი უძრავი ქონებს პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების

გზით,საკუთრებაში გადაეცემა 2 ოჯახს. მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. მოქალაქეებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 83.20 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე მზია გაბისონია (პ/ნ: 19001009915) 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო მოქალაქე მარიანა ბულია (პ/ნ: 19001109671) 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე;

მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქეები 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე;

მომხრე-8 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.078.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ივანე მაჩაბლის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.078.003) მდებარე უძრავი ქონება (ჯამური ფართობი: 168.29 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლალი მაჩაიძეს (პ/ნ: 01017028314) და გიორგი კრასილნიკოვს (პ/ნ: 01017004374). მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

შსს-ს , მოქალაქე ლალი მაჩაიძე (პ/ნ: 01017028314) 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო მოქალაქე გიორგი კრასილნიკოვი დაახლოებით 8 წელია (2013 წლიდან) ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით დასტურდება, რომ მოქალაქე ლალი მაჩაიძე 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, ხოლო გიორგი კრასილნიკოვი - 2012 წლიდან.

მომხრე-7 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ, ნინო წულაძემ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 399 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.002.156) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, წარედგინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია , ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 399 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.002.156) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძრის (საკადასტრო კოდი: N01.14.01.002.108 და N01.14.01.002.053) სატრაპეზოს და სხვა დამხმარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მიზნით.

საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ, წარმოდგენილი დოკუმენტაციების შესაბამისად განახორციელა მოთხოვნილი უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსში რეგისტრაცია და დღეის მდგომარეობით 399 კვ.მ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია N01.14.01.002.156 საკადასტრო კოდით.

წარმოდგენილი პროექტით განიხილება N01.14.01.002.156 საკადასტრო ერთეულის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

მომხრე-8 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს“ (ს/ნ: 405385578) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ. თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „ნიკე გრუპის“ (ს/ნ: 405385578) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 დეკემბრის N21.1714.1918 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N59 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ნიკე გრუპისათვის“ (ს/ნ: 405385578) ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, 2022 წლის 3 თებერვალს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს , ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და „ნიკე გრუპს“ (ს/ნ: 405385578) შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრორაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება , რომლის საფუძველზე, სააგენტოსთვის/სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ისათვის კოოპერატივის წევრებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით) განისაზღვრა – 2 750 კვ. მ-ის ოდენობით, ასევე შპს „ნიკე გრუპმა“ (ს/ნ: 405385578) იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მოპოვების უზრუნველყოფა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 9 თვის ვადაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. (ხელშეკრულების 3.4. პუნქტი)

ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტის თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადების, ხელშეკრულების გაფორმების და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულებების (კერძოდ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების, სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების, ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე შესაბამის პირთა საკუთრების უფლების რეგისტრაციის უზრუნველყოფის პირობით) შესრულების უზრუნველსაყოფად, შპს „ნიკე გრუპმა“ (ს/ნ: 405385578) სააგენტოს სასარგებლოდ წარადგინა ჯამში 700000 (შვიდასი ათასი) ლარის ოდენობის გამოუხმობადი და უპირობო საბანკო გარანტია.

შპს „ნიკე გრუპის“ (ს/ნ: 405385578) განმარტებით, ვალდებულებების შესრულება შეფერხდა რიგი ობიექტური მიზეზების გამო, მათ შორის იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემულ მიწის ნაკვეთზე აღმოჩნდა ხაზობრივი ნაგებობ(ებ)ი და აუცილებელი გახდა აღნიშნბული ხაზობრივი ნაგებობის გადატანის პროექტის შედგენა/შეთანხმება და გადატანის ორგანიზება. ვადის გაჭიანურება ასევე, გამოიწვია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციულ ორგანოებთან გარკვეული საკითხ(ებ)ის შეთანხმების პროცესის დაყოვნებამ.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ შპს „ნიკე გრუპს“ მშენებლობის ნებართვა უნდა მოეპოვებინა ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 თვის ვადაში (არაუგვიანეს 2022 წლის 3 ნოემბრისა), თუმცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - არქიტექტურის სამსახურის N6334059 ბრძანებით მშენებლობის ნებართვა გაიცა 2023 წლის 20 თებერვალს, რის გამოც დარღვეულია ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადა, (2022 წლის 4 ნოემბრიდან 2023 წლის 19 თებერვლის ჩათვლით გასულია 108 დღე), ხოლო ამავე ხელშეკრულების 6.1.3 პუნქტით გათვალისწინებული, შპს „ნიკე გრუპისათვის“ (ს/ნ: 405385578) დასაკისრებელი

პირგასამტეხლოს ოდენობა 2022 წლის 4 ნოემბრიდან 2022 წლის 19 თებერვლის ჩათვლით შეადგენს 75 600 (სამოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) ლარს. (ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევა - 108 დღე, ყოველდღიურად დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა - 700 ლარი).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2023 წლის 15 თებერვალს სააგენტოში წარდგენილ იქნა შპს „ლ.ბ დიღომის" (ს/ნ: 430044631) და შპს "ნიკე გრუპის" (ს/ნ: 405385578) N10/01230463321-61 და N10/01230463364-61 განცხადებები და 2023 წლის 28 თებერვალს - შპს „ნიკე გრუპის" (ს/ნ: 405385578); შპს „ლ.ბ დიღომისა" (ს/ნ: 430044631) და ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ცისარტყელას" ერთობლივი განცხადება N04/01230593071-61, რომლითაც დგინდება, რომ მათ შორის გაფორმდა შეთანხმება და აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ლ.ბ დიღომი" (ს/ნ: 430044631) მზად არის შპს „ნიკე გრუპის" (ს/ნ: 405385578) ნაცვლად იკისროს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად, ხოლო შპს „ნიკე გრუპი" (ს/ნ: 405385578) თანახმაა, ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებები და ვალდებულებები სრულად გადასცეს შპს „ლ.ბ დიღომს" (ს/ნ: 430044631).

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, მხარეებს შორის ფორმდება შეთანხმება, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მხარედ შპს „ნიკე გრუპის" (ს/ნ: 405385578) ნაცვლად განისაზღვრება შპს „ლ.ბ დიღომი" (ს/ნ: 430044631) და მასზე სრულად გავრცელდება ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი უფლებები და ვალდებულებები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შეთანხმების ამოქმედება დაკავშირებულია შპს „ლ.ბ დიღომის" (ს/ნ: 430044631) მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენასთან და სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არ დარეგისტრირდება შპს „ლ.ბ დიღომის" (ს/ნ: 430044631) საკუთრების უფლება და შპს „ლ.ბ დიღომის" (ს/ნ: 430044631) მიერ არ იქნება წარმოდგენილი ამ შეთანხმების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტია, შეთანხმება ავტომატურად ჩაითვლება ძალადაკარგულად, რისთვისაც არ მოითხოვება დამატებით რომელიმე მხარის თანხმობა.

ვინაიდან, მუნიციპალიტეტისთვის კოოპერატიული პროექტის მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად განხორციელება არსებითად მნიშვნელოვანი საკითხია, წარმოდგენილი პროექტით, შესათანხმებლად წარმოდგენილია, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ხელშეკრულების 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.3. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ნიკე გრუპის" გათავისუფლების საკითხი.

მომხრე-7 თავი შეიკავა -ანა გოგოლაძემ, ნინო წულაძემ.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მოიწონეს და უმრავლესობით გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**